ეროვნული ბიბლიოთეკა


# სამშობლო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 55 დამატების № 9

კვირა, 12 აპრილი 1915 წ.


სამშობლო — დედის ძუძუი, არ გაიცვლება სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა.
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.



შიიტ-მუსულმანების დღესასწაული

„შაჰ ჰუსეინის გლოვა“

# ჯემილა.

ოქროთი, ვერცხლითა და ძვირფას თვალ-მარგალიტით დატვირთული აქლემების ქარავანი ადენს მიემგზავრება.

მექარავნეთ შორის იმყოფებოდა ძლევა მოსილ ფაშისათვის გამოგზავნილი ახალგაზდა ასული ჯემილა.

აღმოსავლეთის მზეს საუცხოოთ შეემკო მისი გარეგნობა.

თეთრ-აბრეშუმით მოსილი ტანი ნილოსის ნაპირას მოზარდ ლერწმის უსწორესი ჰქონდა.

თეთრ მარმარილოს სახეზე წარბ-წამწამი ჩინურ შავ-ფერით დახატულს გავდა.

თვალების ნაზი, ოცნების აღმძვრელი მისი შუქი, სიმშვიდე და ქალური მორცხვობა ყველას ხიბლავდა.

სხვათა შორის ჭაბუკი არაბი არალა ხშირად მიაპყრობდა ხოლმე თვის უიმედო თვალებს ჯემილას ტანის მშვენიერ მოხაზულობას.

ამინდი კარგი იდგა და მოგზაურობა მომხიბლავი ხდებოდა.

მაგრამ დიდია განგება ჰალახისა და შეუმცნებელი მიზანი მისი სურვილისა.

უეცრად საშინელი ქარ-ტეხილი ამოვარდა.

განრისხებულმა სტიქიონმა მთელი ქარავანი ზღვის ტალღების სათამაშოთ გამხდარ ნაფოტს დაამსგავსა.

სამი გძელი დღე უდაბნოში უგზო-უკვლოდ იხეტიალეს. მოქარავნენი ერთიანად მოიქანცენ.

მათ თვალებს ელანდებოდა სიკვდილის საზარელი სახე და მათ ყურებს ესმოდა მისი ჩონჩხის შიშის მომგვრელი ჩლუნგი ჩახჩუნი.

სამი დღე მათ ტუჩებს წყალი არ მიჰკარებოდა.

სასოწარკვეთილებამდე მისულმა წინამძღოლმა მაშინ არაბთ მიმართა: „სიკვდილი ისე დაგვიახლოვდა, რომ მის ძვლებს ჩვენი ქუთუთო ეხება. ჩვენ მეტი ძალა აღარ შეგვწევს. ერთად შევგროვდეთ, უკანასკნელათ ავამოძრაოთ ბაგენი სადიდებლათ სირიის თაფლზე უტკბილესს ჰალლახისა და განვემზადოთ სასიკვდილოთ.

ყველა მუხლზე დაეცა.

სწორეთ ამ დროს წამოიწია ჯემილამ. მისი თვალები აინთო იმ ცეცხლით, რომლითაც მდიდარნი არიან ხალხთა წინამძღოლნი.

— ძმებო, იმედს ნუ დავკარგავთ! სანამ ძალა შეგვწევს წინ გავსწიოთ. ვინ იცის, იქნებ სადმე, აქვე ახლოს, კოხტად აბიბინებული ოაზისი იმყოფება! მაშ წინ, და, თუ მოკვდებით, დაე, სიკვდილმა საუკეთესო ცხოვრების ძიებაში მაინც მოგვასწროს.

კბილების ღრჭენა და თითების უიმედო მტვრევა მიიღო ქალმა პასუხად.

მხოლოდ ერთმა, მარტო ერთმა არალამ ჯემილას იმედიანის ღიმილით შეხედა, წამოდგა, ასულის წერწეტ ტანს ხელი შემოავლო და ორივე ჩქარის ნაბიჯით ბურუსით მოსილ სივრცეში მიიმალნენ...

ჯაჯუ ჯორჯიკია.



ვასო ურუშაძე.
დასის რწმუნებული და ადმინისტრატორი.
მისი ბენეფისის გამო, რომელიც გაიმართება ხუთშაბათს, 16 აპრილს.

## ქუჩა მაცდურებისა.

(აზრი აღებულია).

I.

ზღაპრულ დროში, ძველის-ძველათ,
მეფე იყო დიდებული:
მხნე, მდიდარი, მეომარი,
მორწმუნე და ღვთივ-ცხებული.
ჰყავდა იმას ერთი შვილი,
ასული რამ მეტათ ნაზი,
თვალ-ტანადათ მშვენიერი
ცქვიტი, ტურფა და მალხაზი.
ვით ზღაპრებში, ძველებურად,
აგვიწერენ სილამაზეს:
მისი სახეც არ ეხილა
არცა მთვარეს და არცა მზეს,—
ამისთვისაც მზეთ-უნახავს
უწოდებდა იმას ყველა
და სასახლეს ამშვენებდა,
ვით ცის დისკოსს ცისარტყელა.
ტან და სახის სიმშვენესთან,
ჰქონდა მას ზნეც საარაკო,
ერთს ოთახში იზრდებოდა
კარჩაკეტით, სარაკრაკო.
ნორჩი ცირა ქალდებოდა,
მიდიოდა დრო და ჟამი
და საბედოს მოელოდა—
ელვარე მზეს, ვით ცის ნამი.

II.

ხომ გსმენიათ,—ძველათ მეფეს
სჭირდა ეს ზნე უსაშველო:
უნდა სიძის საძებნელათ
ზღვა-ხმელეთი შემოევლო.
მოეძებნა გმირთა-გმირი
ბაყ-ბაყ მდევი—ქვეყნის ტოლი
და ასული—მისი შვება,
გამხდარიყო იმის ცოლი.
ამ მეფესაც, ამავ ფიქრით,
აღარ ჰქონდა ღამე ძილი,
რომ ამდენს ხანს გაუთხოვრად

ეროვნული ბიბლიოთეკა



**იასონ საბას-ძე ყიფიანი.**

(ჯარის კაცი)

გერმანელებთან ბრძოლის დროს ტყვეთ არის წაყვანილი, 30 გიორგობისთვეს.



**დავით მ—ძე ლორთქიფანიძე.**

(ჯარის კაცი)

უგზო-უკვლოთ დაკარგული ოლთისთან ბრძოლის დროს, 13 დეკემბერს 1914 წ.



**ბეგლარ ალფეზის ძე გაჩეჩილაძე.**

(ჯარის კაცი)

დაჭრილი იყო გერმანიის საზღვარზე. მორჩენის შემდეგ კვლავ გაიწვიეს ბრძოლის ველზე.

ურჩებოდა ქალიშვილი.
ჯავრით სავსე ერთხელ იგი,
შვილთან ოთახს შემობრძანდა
და მის თავით სავარძელზე—
ვითა შვენის,—ჩამობრძანდა.
უთხრა: შვილო, მე დავბერდი—
შენ უდროვოთ გაჭკნობ ვარდსა,
სამარეში არ ჩავიტან
მწუხარებას,—შენზე დარდსა.
გასათხოვრათ ახლა მზათ ხარ
და ტოლი შენც უნდა გყავდეს,
მაგრამ მსურს, რომ ზნეობითა
შენ გიდრიდეს, შენა გგავდეს.
და ამისთვის მეც ამ გვარ ხერხს,
მსურს ამ ჟამად, რომ მივმართო:
ჩემს ქალაქში ერთი ქუჩა
სამაცდურო რამ გავმართო;
რაც კი აღძრავს კაცთა ვნებას,
გულის თქმას და ლტოლვილებას,
ყველასფრისას ამ ქუჩაში
გამართვისას დავრთავ ნებას.
ქუჩა იქნეს მეტათ გრძელი,
შორსა ჰქონდეს დასასრული;
ვნებათ მშლელმა სამაცდურომ
მიიტაცოს კაცთა გული.
და იმ ვაჟმაც, ვისაცა სურს,
გამომთხოვოს შენი ხელი,
ოც წამში მსურს ჩაიაროს
სამაცდურო ქუჩა გრძელი,
ქუჩის ბოლოს მეც ვიქნები,
იქ მოვიდეს ის მოადროთ
და მეფობას ჩემსას გფიცავთ,
რომ უარი მე არ გკადროთ.
შევაულლებ იმას, შვილო,
სიცოცხლითვე გაგახარებთ,
სამეფოსაც დაგილოცავთ
და ორივეს ჩაგაბარებთ.
ვის სულ-გულსაც ქუჩის გემო,
მოხიბლავს და მიიტაცებს,

მას ვერც ნებით მიგათხოვებ,
და ვერც ძალით მოგიტაცებს.
იმისთვის, რომ იმას გულში
ჩანერგვია ცუდი გრძნობა
და ნახვაც კი საკმარისობს,
წარმოსთხიოს უზნეობა
მოეწონა შვილს ეს აზრი,
მეფისა და თვისი მამის
და გულშიაც განიზრახა
აღსრულება ერთი რამის...
მაგრამ ვით შვილს, მართებს მამის
მორჩილება, თავ-მდაბლობა,
მანაც ამ გვარ ზრუნვისათვის
მოახსენა მას მადლობა.

III.

იწყეს ქუჩის გაშენება —
საარაკოთ, საუცხოვოთ,
ხუროთ-მოძღვართ დიევალათ:
სადაც უცხო გეგმა ჰპოვოთ,
ის მონახეთ, ააშენეთ -
შენობანი, სრა-პალატნი,
რაც რომ აკლდეს, არ მოგწონდესთ
თქვენივ იყოს შენამატნი.
ყოველივე თვალ-წარმტაცათ
მოაწყვეთ და მოაგვარეთ,
ოქრო, ვერცხლით, მარგალიტით,
მორთეთ იგი შინ და გარეთ.
სასმელ, საჭმელ, პირთა გემო
მუსიკა და საცეკვარი,
ლამაზ ქალთა სააშიკოთ
არ ვინ ჰყავდეს შესადარი.
აღასრულეს, რაც რომ ბრძანა
და მოაწყვეს ქუჩა გრძელი,
რასაც თვალით ინატრებდით
აქვე იყო სახილველი.
ტკბილ სასმელთ სმა, ლამაზ ქალთა
აშიკობა-სიყვარული,
მუსიკა და ცეკვა-მღერა,
არც ერთს არ აქვს დასასრული.

ერთი სიტყვით, რაც რომ ითქმის
კაცთა ვნების ამღვრევ-ამშლელს,
ყოველივეს იგემებდით,
ვერ ნახავდით აქ მის დამშლელს.
  აი, ამ გზით უნდა ევლო
გამოსაცდელ მეფის სიძეს,
თუ ოც წამში ჩაივლიდა
თავ-ბოლომდი ქუჩის სიგრძეს,
მაშინ მეფე იმას სცნობდა
ზნეობრივათ შვილის ტოლათ,
და ამ გვარი ზნეობისთვის
შვილს აძლევდა იმას ცოლათ.
და თუ ქუჩის გარყვნილებას
ნდომათ ღელვას აჰყვებოდა,
სადმე ქუჩის შუაგულში,
ის სიამეს შერჩებოდა,
თან დანიშნულს ოცსა წამში
მეფესთან არ წარსდგებოდა,
მაშინ მისი სიძეობა
უარყოფით თავდებოდა.

IV.

  დადგა ჟამი გამოცდისა
ათასობით მოდის სიძე,
მაგრამ ოც წამს, არ თუ მთელს დღეს
ვერ ვინ ჩავლო ქუჩის სიგრძე.
ვინც კი შევა ქუჩის თავში,
აქეთ იქით იხედება,
ყოველ გვარი ვნება ეძვრის
მაცდურებით იხიბლება.
ჯა ოც წამში, არც თუ ქუჩას,
ორ ნაბიჯსაც ველარ ადგამს
და სამეფო გვირგვინ-ტახტი,
ეკარგება მას,—მის ნადგამს.
ქუჩის ბოლოს მეფე იჯდა
ამალით და ვეზირებით,
და აგრეთვე მემუსიკეთ
დასი გვერდით, მთელი კრებით,
დანიშნულ დროს, ქუჩის თავში,
შედიოდა მსწრაფლ სასიძო,
იმ ფიქრით, რომ ოც წამს ქუჩა
გაევლო და გზა განეგრძო.
მეფეც თვლიდა ტყვილათ წამებს,
ვერვინ სძლევდა ვნებათ ლტოლვას
და ამისთვის მამის გული
ეძლეოდა ურვა-გლოვას.
თან ამ ამბავს სამწუხაროს
მემუსიკეთ დასთა კრება,
მწუხარის ხმით დაუკრავდა
და ქვეყანას აუწყებდა,
რომ მეფის შვილს, ჯერ სასიძო
ღირსეული არ უჩნდება,
დრო მიდის და კოკობ ვარდსაც
აწ ფურცლები დაუჭკნება.

V.

  განვლო ათმა წელიწადმა,
ვერვინ შესძლო თავსა ელო,
რომ სისწრაფით, დამშვიდებით,
ქუჩის სიგრძე მთლათ ჩაევლო.
ამ დროში კი, თვითონ მეფეც
დასნეულდა სასიკვდინეთ,
შვილის ფიქრიც აწუხებდა
როგორც სწუხდა იგი წინეთ.
ერთხელ, როცა მეფე იწვა
სულთ მაბრძავი სარეცელზე,
ქალიშვილსა მოუწოდა: —
სურდა [illegible] იმის ბედზე,
და ეს [illegible] შვილო ჩემ[illegible]
რომ [illegible]ქვა, არ იქნება,
გაუთხოვრად დაგარჩინე
მოგაყენე დიდი ვნება;
შენთვის მსურდა სრული საქმრო,
ზნეობრივი და უმანკო
მინდოდა, რომ შენებრ ზნითა
ყოფილიყო საარაკო.
მაგრამ ქვეყნად, სჩანს სისრულე
არ ყოფილა არაფეში
და ვერც სიძეს ვიშოვნიდი,
რომ მეძებნა თავის დღეში,
და შენ ამით მორცხვი ვარდი,
დაგაჭკნე და დაგაცვინე
ამდენს ჩხრეკა ძიებაში
ბევრს კარგს საქმროს აგაცდინე.
  — არა, მამავ, გულს ნუ იტეხ,
კიდევა მაქვს ვირდის ფერი,
თქვენ რათ სწუხართ, არ წასულა
გათხოვების ჩემი ჯერი.
  — ეგ კი, შვილო, მაგრამ მაინც
იმ სისრულის ძებნის დღეში,
კარ ჩაკეტით მყავდი მარტო
ემწყვდიე, ვით მონასტერში;
სიყვარულის მხურვალებით
არ გამთბარა შენი გული,
და ქალწული მოწიფული
მყავდი ამით დაჩაგრული.
  — არც ეგრეა, მამა ჩემო!
ნუ ჩაიტანთ მაგ დარდს გულში,
ვინ იქნება დღეს უცდელი
სიამე და სიყვარულში?
თქვენ დამშვიდდით, მოისვენეთ...
  — რა გინდა რომ მითხრა ამით!?
  — როს გაშენდა მცდურთ ქუჩა,
დავდიოდი მე იქ ღამით,
მოვიქრთამე მე მსახურნი,
ვეწეოდი აქ სიამეს
და იმ სიძეთ ჩემთან ყოფნით,
რამდენი დღე დაილამეს!?
როს მნახვიდნენ ქუჩის თავში,
ქუჩის ბოლოს რა უნდოდათ,
რადგან თავში შეხვდებოდნენ
რაც სურდათ და რაც უნდოდათ!
ვეძლეოდი მეც სიამეს,
ვით სხვა იქ მყოფ ქალთა კრება
და ვიგემე ყოველ გვარი
ქვეყნიური ნეტარება.
არ გიფიცავთ, რომ ათ წელში
მაცდურთ რიცხვში მეც ვერიე,. .
  — ოხ! რას ამბობ? ეგ რა მესმის,—
გავშმაგდი და გადვირიე!...
მაშ, ზნეობა შენიც თურმე
არ ყოფილა მართლა სრული ?...
ეს სთქვა მეფემ და ოხვრაში
განუტევა მყისვე სული ..

**იათეოზი.**

სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. ი. კოხრეიძისა
რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.